

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემები

**საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური
ექცევარულ-თეორიული პრიზის დაქლევა
საქართველოს სახელმწიფო სამსახურის
გადაუდებლივი ამოცანა***

ეთერ თაკალანძე
ეკონომიკის დოქტორი

უზენაესი კანონის –„ლაზარე“ მიხედვით, ადამიანური ღირსება არის კონკრეტულ ქვეყანაში მიღწეული, ეროვნული სულიერი ფა-სეულობა, რომელიც კონკრეტული პიროვნების საზოგადოებრივი თვითგანვითარების (კულტურა!) დონით განისაზღვრება. ამ მახასიათებლის როლი დამდეგი ორიათასწლეულის ადამიანის საზოგადოებრივი განვითარებისა საშუალო-ეროვნული დონის ფორმირებაში, უნდა ამაღლდეს მორიგი (მე-6) ორიათასწლიანი ეტაპობრივი საფეხურით¹.

უზენაესი კანონის ეს მოთხოვნა სწორედ დამდეგი, ახალი ორიათასწლეულის დასაწყისში ბადებს საქართველოში (ლაზარეს ქვეყანა) შესაბამის, ახალ, კონკრეტულ სახელმწიფოებრივ ამოცანას, – რომ საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური კულტურის ამგვარად ამაღლება, ამ საქმიანობის, თეორიული თუ ორგანიზაციული უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ქვეყანაში უკვე უნდა დაიწყოს.

ზემოაღნიშნული, ცხადია, გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკის ეროვნულ დემოკრატიულად გარდაქმნის დაწყებას: – საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობების შექმნას ადამიანების მხრიდან დიდსულოვნების გამოხატვისა და ადამიანური ღირსების გამომხატველი საქმიანობისა თუ ქმედებების წახალისებისათვის; ქვეყანაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საზოგადოებრივად გამოყენებას, ინფორმაციის, როგორც საზოგადოებრივი შრომის პროდუქტის,

* იბეჭდება ავტორისეული სტილის დაცვით, დაუზინებული მოთხოვნით.

1 ამგვარი ამაღლების პროცესის თანმიმდევრულობის შესახებ. იხ. ჩვენი სტატიები, ჟურნ. „ეკონომიკა“ №7-8. 2004 წ. (სქემა). ასევე, №№10-12, 2010 წ. 7-8, 2011.

ეპლოვაა №5-6, 2012

ეროვნულ-სახელმწიფო ბრივად რეალიზებას; – დაწყებისათვის, ინფორმაციული მომსახურების საქმეში, და, შემდგომ, ასევე ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკაში, პრიორიტეტის გადატანას მატერიალისტური-დან (მოგება, ფულადი საზღვარი), არამატერიალისტური (ადამიანური ლირსება, პიროვნული საზოგადოებრივი აუტორიტეტი) ფასეულობების წარმოების ათვისება-განვითარებაზე და, რაც არსებითია, – ახალი დროის, იგივე, ახალი 2000-წლეულის, სწორად, რაციონალურად განაწილება-გამოყენებაზე.

არამატერიალისტურად ორიენტირებული ეკონომიკა, უზენაესი კანონის – „ლაზარე“ – მიხედვით, ეფუძნება ქვეყნის ბუნებრივი საწარმოო რესურსების ოთხი ძირითადი ჯგუფის (დრო, ადამიანური, სოციალური, გეოგრაფიული გარმეო) სისტემურად და მუდმივად გნევითარების მეთოდს – ოთხყაროს. ამასთან, ოთხყაროს ადამიანური რესურსების ჯგუფში მოიაზრება ახალი სიტყვა („მეორედ მოსული“ ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერება – ქრისტე-სიტყვა); რამეთუ, ქრისტე-სიტყვა ქმნის ახალ სამეცნიერო-ინფორმაციულ წყაროს ქვეყნისა თუ მთლიანად დედამინის სოციალურ-ეკონომიკური თვითგანვითარების ორიათასწლიანი ეტაპობრივობით განსაზღვრულობისა და საზოგადოებრივი მეცნიერების ოთხყაროს მეთოდზე დაყრდნობით, გააზრება განვითარებისათვის¹;

მოკლედ: სასტლო კაცის, ბ-ნი აკაკი ჯორჯაძის მიერ 1995 წლის 9 იანვრის 14⁰⁰ საათზე, საქართველოში გაცხადებული ქრისტე-სიტყვის, როგორც კანონზომიერი სოციალური მოვლენის და, როგორც ცოდნის ბუნებრივი წყაროს, სახელმწიფოს დონეზე ათვისებისათვის საჭირო პირველი ნაბიჯების გაკეთება, ამ მხრივ ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მომსახურება, ამ საქმიანობის შესახებ სათანადო მეცნიერული თუ ჟურნალისტური ინფორმაციის მოძიება-რეალიზაციის ორგანიზება დღეგანვითარების საქართველოში, არის გარდაუვალი და გადაუდებელი სახელმწიფოებრივი ამოცანა. ეს, რომ ასეა, იკითხება თავად, ქრისტე-სიტყვაში; იკითხება იგი, მინიშნების სახით ისე, რომ ეს მინიშნებები გააზრებას მეცნიერული ლოგიკის ბაზაზე მოითხოვს.

ქვემოთ შევეცდებით, წარმოვჩინოთ აღნიშნული მინიშნებები და, მეტ-ნაკლებად, – მათი გაზრებიც:

1 იხ. ჩვენი სტატიები, ჟურნ. „ეკონომიკა“, №10-12, 2010 და №11-12, 2011, გვ. 21.

ეპონიკური თაორიის თანამედროვე პროგლემები

1. ქრისტე-სიტყვაში მხილებულია ასტრო-ფიზიკური კანონზომიერება, – რომ მზის სისტემაში დედამიწის უსასრულოდ ბრუნვის ჟამთასვლაში, დამდეგი, ახალი ორიათასწლიანი ციკლის დაწყების დრო-ჟამი, წამების სიზუსტით ემთხვევა იმ დრო-ჟამს, როცა კოსმიურ სხეულთა ასტრო-ფიზიკურ სივრცეში (წყობა) ზოდიაქოს ნიშნის 12 თანავარსკვლავედის სისტემაში – მერწყულის თანავარსკვლავედში მზის სისტემის (დედამიწა) გადაადგილების ახალი 24000-წლიანი ციკლი დაიწყო;

ქრისტიანული წელთააღრიცხვით განსაზღვრული დროის ინტერვალებში ხსენებული ასტრო-ფიზიკური მოვლენების თანხვედრა, როგორც რეალობა, თანამედროვე ასტრო-ფიზიკური მეცნიერებისათვის სიახლე სულაც არ არის; იგი გამოხატავს სამყაროს (დედამიწა, მზე, ვარსკვლავეთი) ერთიანობას დროსა და სივრცეში. ეს ერთიანობა, როგორც არსებობის საყოველთაო კანონი, გულისხმობს რა სამყაროში სამივე ამ სისტემის დამოუკიდებელ თვითგანვითარებასაც, 2000-წლიანი სტაბილურობით მოითხოვს ჩვენი პლანეტის – დედამიწის – სოციალურ-ეკონომიკურად ბალანსირებულ თვითგანვითარებას, სწორედ, ზოდიაქოს ნიშნის თანავარსკვლავედთა სისტემის მოძრაობის 24000-წლიან ციკლში; მოითხოვს ამას კაცობრიობისაგან, ადამიანის საზოგადოებრივი (კეთილგონივრული) თვითგანვითარების დონის 2000-წლიანი ეტაპობრივი ამაღლების კვალობაზე, ერთაშორისი მშვიდობიანი ურთიერთობის ორგანიზების გზით. ამიტომ, სოციალური კანონზომიერების მიხედვით, ეს გზა ანუ, საზოგადოებრივი თვითშეგნების დონის 2000-წლიანი ეტაპობრივი ამაღლება, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობა, როგორც სამყაროს ერთიანობის დაცვის ფაქტორი, ბუნებრივად ექვემდებარება და გადის კიდევაც, შემოწმება-დაზუსტება-განახლებას ორიათასწლიანი პერიოდულობით. ანუ, ეს ბუნებრივი სოციალური პროცესები – შემოწმება-დაზუსტება-განახლება – რომლებიც ასტრო-ფიზიკური სხეულების მოძრაობის კანონებიდან გამომდინარე, ფიზიკურად, დადებით და უარყოფით ენერგიათა ურთიერთგანონასწორებულობის საფუძველზე, მიმდინარეობს ასტრო-ფიზიკურ სივრცეში, მოიცავს ადამიანის, ერის კაცობრიობის ყოველი ახალი ორიათასწლეულის დამდეგს ინფორმაციული წყაროთი – ახალი სიტყვით – აღჭურვის (უზრუნველყოფა) პროცესაც; იგი მოიცავს ამგვარი აღჭურვის, როგორც კანონზომიერი, ორიათასწლეულების მიჯნაზე გამეორებადი, სოციალური მოვლენის, დედამიწაზე

ეპოვა №5-6, 2012

განხორციელების პროცესს. დროის ამ, მოცემულ ეტაპზე სწორედ ამგვარი კანონზომიერი სოციალური მოვლენა დაფიქსირდა დედამინაზე, საქართველოში ქრისტე-სიტყვის მოსვლით; დაფიქსირდა იგი სასძლო კაცის (ბ-ნი აკაკი ჯორჯაძე) მიერ ქრისტე-სიტყვის მოსვლის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებრივად გაცხადების სახით, 1995 წლის 9 იანვრის 14⁰⁰ საათზე¹.

აღნიშნული, ახალი, მეცნიერული ხასიათის ინფორმაცია კანონზომიერი სოციალური მოვლენის შესახებ, ნიშნავს იმას, რომ:

1.1. ქრისტე-სიტყვა დამდეგი 2000-წლეულის ადამიანს მიანიშნებს დოოზე – ორიათასნლეულზე; იგი მიანიშნებს იმაზე, – რომ ეს დრო ბუნებით, ასტრო-ფიზიკურად განსაზღვრული რესურსია ადამიანისა (ერო-კაცობრიობა), და, აქედან გამომდნარე, ქვეყნისა თუ დედამინის თვითგანვითარება-თვითშენარჩუნებისათვის; – რომ დროის ამ ეტაპზე სამყაროს, როგორც დედამინის თვითგანვითარების ბუნებრივი რესურსების სისტემას, ამ ახალი დროის დადგომასთან დაკავშირებით, ემატება თავად ამ დროის (2000-წლეული-ვადა) სახით, კიდევ ერთი კომპონენტი-რესურსი და ამითი, ადამიანისათვის შემცნების ობიექტი ხდება უკვე ახალი სისტემა – ოთხყარო (დრო, დედამინა, მზე, ვარსკვლავეთი); – შემცნებისა, საიმისოდ, რომ მან თვითშემცნება-თვითორეალიზაციის გზით, მუდმივად და მშვიდობიანად შეინარჩუნოს თავისი საცხოვრისი – ქვეყანა, დედამინა;

1.2. დედამინაზე ქრისტიანული წელთაღრიცხვის ახალი ორიათასნლეულის დაწყება (ახალი დრო), აითვლება ზუსტად იმ თარიღიდან (1995 წ. 9 იანვარი 14⁰⁰ საათი), როდესაც საქართველოში ქართველმა მწერალმა ბ-ნმა აკაკი ჯორჯაძემ, მასზე დაკისრებული სასძლო კაცის დანიშნულება-დატვირთვის (მისია) აღსრულების პროცესი, დააფიქ-სირა – როცა საზოგადოებრივობის ნინაშე გაცხადდა ის, რომ საქართველოში „მეორედ მისვლა“ მოხდა. სხვა სიტყვებით: 2012 წ. 9 იანვრის 12⁰⁰ საათიდან, დედამინაზე ახალი დრო – მორიგი (დამდეგი) ორიათასნლეული დაიწყო, – მისი მე-18 წელი მიმდინარეობს, მაგრამ ხსენებული ახალი სახელმწიფოებრივი ამოცანის არსებობას საქართველოს ხელისუფლება ჯერ კიდევ არა სცნობს.

1.3. ახალ სიტყვები პიროვნებისათვის (სასძლო კაცი) განსაზღვრუ-

¹ კანონზომიერება, რომლითაც მხილებულია (ახსნილია ამგვარი განახლების პროცესის დაწყებისა და მისი საქართველოდან ჩრდილოეთის მიმართულებით მსვლელობა) იკითხება გაზეთიდან „მეტი სინათლე“ №20 (იხ. ნახაზი), გვ. 2.

ეპონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლობი

ლია სოციალური მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს თავად სასძლო კაცის მიერ ამ სიტყვის დაუფლებასა და მოიცავს ამავე სიტყვის განსაზოგადოება-გავრცელების საზოგადოებრივ (მორალურ) მოვალეობებსაც; ეს ფაქტი, თავისთავად, მიანიშნებს იმაზე, რომ დედამინაზე ადამიანის საზოგადოებრივი განვითარების საქმიანობა სოციალური კანონის მოთხოვნების შესაბამისად უნდა წარიმართოს; – რომ ადამიანურ საქმიანობაში მოიაზრება სათავისო (სათავისო) საზოგადოების შექმნა, ე.ი. საამისო – ნდობის, სიყვარულის, თანადგომის დამსახურება, შემოქმედებითი უნარების შემუშავება და პირადი პასუხისმგებლობა, მიღებული (მინიჭებული, მოპოვებული) საზოგადოებრივი უფლებების შესაბამისი საზოგადოებრივი მოვალეობებით ბალანსირების თვალსაზრისით; – ანუ, ყველა ადამიანი, ამგვარი ბალანსირების წესით და სიცოცხლის სამუალო ხანგრძლივობის, სავარაუდოდ, ას წელზე გათვლით, უნდა მონაბილეობდეს თავისი ქვეყნის საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ-ეკონომიკურ საქმიანობაში, – ქმნიდეს და ტოვებდეს საკუთარი ცხოვრების წესით, კარგ მაგალითს პირადი მოდგმის, სულ ცოტა, 20 თაობისათვის ($20 \times 100 = 2000$);

1.4. ბ-ნი აკაკი ჯორჯაძის მიერ სასძლო-კაცის უფლება-მოვალეობის განცდა-გათავისება, როგორც რეალური ფაქტი, დღეისათვის, (როცა მის მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების დღიდან 17 წელი უკვე გავიდა), დადასტურებულია შესაბამისი ფიზიკური ქმედებებით; ამგვარი ქმედებები გამოხატულია თავად სასძლო კაცის – ბ-ნი აკაკი ჯორჯაძის მიერ და, ასევე, მისი თაოსნობით, ქვეყანაში განეული მრავალი ადამიანის საზოგადოებრივი შრომის შედეგებში; აქ უნდა ვიგულისხმოთ: – მტკიცე და თანმიმდევრული პოლიტიკური პოზიცია, დასაწყისში, პ.გ. „მძლევისა“ და შემდგომ, ამ უკანასკნელის მემკვიდრე, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, იმის თაობაზე, რომ უამთასვლის ამ ეტაპზე გარდაუვალია საქართველოში ეროვნული იდეოლოგიის ბაზაზე სახელმწიფოს აღმშენებლობა; – ამ პოზიციის არაერთგზის (2002 და 2007 წ.). დადასტურება (დამტკიცება) სრულად საქართველოს ეროვნულ ყრილობებზე, რომლებიც ჩატარებული იყო ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ხელმოწერებზე დაყრდნობით [ეს ყრილობები მოწვეული იყო პ.გ. „მძლეველის (2002 წ.) და „ეროვნული ფრონტის“ (2007 წ.) თაოსნობით]; – ამ შედეგებში უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ მსგავსი ხელმოწერების აქცია (მე-3 ცდა), რომელიც, ამჯერადაც, პ.გ. „ძველი-ახალი სიტყვის“ თაოსნობით

ეპოვა №5-6, 2012

მიმდინარეობს, 2009 წლის მონაცემების მიხედვით, 1 მლნ-მდე ჩვენი ამომრჩევლის ხელმოწერას ფლობს¹. აღნიშნული საზოგადოებრივი შრომის შედეგებიდან ვერ გამოვრიცხავთ იმ ფაქტსაც, რომ ქრისტე-სიტყვიდან გამომდინარე, ჩატარებულია გამოკვლევები საზოგადოებრივ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მეცნიერულ თეორიაში, რომლებიც თანმიმდევრულად, 1999-2012 წლებში დაიბეჭდა უ, „ეკონომიკაში“ და, რომლებიც, მთლიანობაში, წინამდებარე სტატიის საფუძველს წარმოადგენენ.

აღნიშნული საზოგადოებრივი საქმიანობა გაუმართლებელსა და უსაფუძლოს ხდის იმის მტკიცებას, რომ ქრისტე-სიტყვა, როგორც მოვლენა-ფაქტი, თითქოს სარწმუნო არ არის; ამისი რწმუნებისათვის, ახალი სიტყვა გვთავაზობს ბევრ სხვა, სარწმუნო და, იმავდროულად, მეცნიერულად ახსნად მინიშნებებსაც.

1.5. ის დრო, როდესაც სასტლო-კაცი, ბ-ნი აკაკი ჯორჯაძე საქართველოს საზოგადოებრივობის წინაშე წარსდგა (1995 წ. 9 აპრილი, 14⁰⁰ ს.), ზუსტად ემთხვევა ბიბლიური ცნობების მიხედვით, დედამიწაზე ქრისტე-შობიდან ათვლით, ორიათასი წლის დასრულების დროს; ამასთან ჩვენი გამოკვლევებით, ქრისტე-სიტყვაში გამოაშკარავებულია იდენტურობა, ერთის მხრივ, ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ ცნობიერებასა (ქართული ზნეობრივ-მორალური პრინციპები) და, მეორეს მხრივ, იმ კონკრეტულ სოციალურ მოთხოვნებს შორის, რომლებსაც უზენაესი კანონი – „ლაზარე“ განსაზღვრავს და, ამასთან, – რომელთა დაცვის აუცილებლობა (მართლზომიერება) დადასტურებულია ათას-წლვანი (ცხოვრების ქართული გამოცდილებით (ტრადიცია).

ანუ: ჩვენი რელიგიის ისტორიასთან სოციალური და საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარების საქმიანობის განუყრელობისა და ზემოხსენებული იდენტურობის წარმოჩინებით, ახალ სიტყვაში მინიშნებულია ეროვნებებთან მიმართებაში; – ის სოციალური მოთხოვნა, რომ ქვეყანაში (რომელიც, თავისთავად, სისტემა-ოთხყაროა), პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიურ თეორიაზე უნდა აიგოს; რამეთუ ეს იდეოლოგია თავისი არსით, ამ რელიგიური ცნობიერების იდენტურია.

1.6. გასული 4000 წლის მანილზე ანუ, დაწყებული, ასე დავარქვათ, „მოსეს ცნობიერებიდან“, შემდეგ უკვე „ქრისტეს ცნობიერებით“, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერება (ე.ი. ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგია) გახდა საფუძველი არა მხო-

1 იხ. აკაკი ჯორჯაძე, „მომავლის პროგრამა“, თბ., 2009 წ. გვ. 25.

ეპონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლობი

ლოდ ქართული ეროვნული ცნობიერების ფორმირებისათვის¹. გასული 1700 წლის წინ (336-337 წწ.) იგი საქართველოში უკვე სახელმწიფოებრივი რელიგიის ფორმით ჩამოყალიბდა; დღეს კი, რაც ფაქტია ქრისტე-სიტყვის (წინამორბედთა მსგავსი სახელწოდებით, „აკაკის ცნობიერება“) მოსვლის კვალობაზე მოხდა ამ რელიგიური ცნობიერების შევსება; – მოხდა შევსება ამ რელიგიური ცნობიერების (მცნებები) ობიექტურ სოციალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის თუ იდენტურობის მხილების, ანუ ამ მოთხოვნების, როგორც კანონზომიერთა, წარმოჩინებისა და ახსნის ფორმით.

2. ხსენებული სამეცნიერო-საინფორმაციო წყარო, – რომ ორიათასწლიანი ციკლის (ამ ეტაპზე – 24000 წლიანი ციკლისაც) განახლება დედამიწაზე იწყება საქართველოს ტერიტორიაზე, მოიცავს ასევე სხვა ახალ ინფორმაციებსაც:

2.1. რელიგიის ისტორიიდან ცნობილი ორი პიროვნება (მოსე, იესო-ქრისტე), რომელთაც თავ-თავის დროზე ერგოთ, გაითავისეს და, კიდევაც აღასრულეს თავ-თავის ქვეყანაში თუ კაცობრიობის წინაშე, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცნობიერების განსაზოგადოება-გავრცელება-დანერგვის მორალური მოვალეობა (და, მაშასადამე, აღასრულეს სოციალური კანონზომიერება „ლაზარეს“ იმდროინდელი მოთხოვნა), ყოფილან წარმომავლობით, ქართველები – ქართული გენის მატარებლები, საქართველოში მაცხოვრებლები.

2.2. კაცობრიობაში წმინდა წიგნად ცნობილი, „ბიბლია“ (დედანი) დაწერილია ქართულ ენაზე;

2.3. აშკარავდება (მხილებულია) ის, რომ ქართული დედა-ენა – ლაზარე, (რომლის ასო-ნიშნებითაც ახალ სიტყვაში ახსნილია ასტრო-ფიზიკური მეცნიერების თვალსაზრისით, სოციალური კანონზომიერება „ლაზარე“ და, მაშასადამე), რომელსაც საერთაშორისო-საკაცობრიო დანიშნულება აქვს, არის ოდითგან დღემდე, იგნორირებული და დამცრობილი, – რომ ნამდვილად (როგორც ზოსიმე – მღვდელმა გვამცნ) „დამარხულ არს“ ქართულ ენაში დიდი რელიგიური, (მეცნიერებისათვის დღემდე მიუწვდომელი) საიდუმლო, რომელიც ქრისტე-სიტყვაში უზენაესი კანონის – „ლაზარე“ – სახით, დღეს იკითხება (ჩვენ ამოვიკითხეთ);

2.4. აშკარავდება ის, რომ ქართული ენა იტევს და იმარხავს ასტრო-

1 რელიგიურ ცნობიერებაზე დაყრდნობით ადამიანის საზოგადოებრივი ცნობიერების მიზანმიმართული ფორმირების საკითხები განხილული გვაქვს ჟურნ. „ეკონომიკა“ №1-12, 2005 წ.

ეპოვა №5-6, 2012

ფიზიკურად განსაზღვრულ, საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე სოცი-ალურ-საკაცობრიო დანიშნულებას და, – რომ, მაშასადამე, ქართველი ერი, რომელიც უნდა ატარებდეს ამგვარი დანიშნულების აღმასრუ-ლებლის მორალურ მოვალეობას, დღეს უკვე ზემოთ (სათაური) ხსე-ნებულ სახელმწიფო ამოცანისა და ამგვარი მორალური მოვალეობის შემსრულებელი უნდა გახდეს;

ასტრო-ფიზიკურ მოვლენებთან საზოგადოებრივი (ქართული) საქ-მიანობის დროში ერთიანობის (როგორც ერთიანი პროცესის) გააზრე-ბის ჩვენი ხედვა ასეთია:

2.5. იმ მომენტში, როცა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში ახალი სიტყვის (ქრისტე-სიტყვა) შესახებ სასძლო კაცის განაცხადის დრო-მომენტი დაფიქსირდა, მერწყულის თანავარსკვლავედის დედა-მინასთან (მზის სისტემა) მიმართების კუთხე 0°-დან დაიწყო, შემდ-გომ, მერწყულის სისტემაში დედამინის (საქართველო) შესვლის კვა-ლობაზე, ეს კუთხე, ცხადია, გამოიკვეთა. გარკვეული დროის შემდეგ, როცა ამ მიმართების ცენტრი¹ საქართველოს ტერიტორიის ნახევარს გაცდება, ამ კუთხის ნიშნული თანმიმდევრულად ისევ 0°-ს დაუახ-ლოვდება; ეს კი უკვე ის დროა, როცა ჩრდილოეთით-რუსეთის ტერი-ტორიასთან მერწყულის თანავარსკვლავედის სისტემის მიმართების კუთხის ფორმირება იწყება, ანუ, – როცა ასტროფიზიკურ სივრცეში მყისიერად დაფიქსირდება იმ ძირითადი დრო-უამის (ვადა!) დასრუ-ლება, რომელიც უზენაშითაა განსაზღვრული საქართველოსათვის; განსაზღვრულია ვადა ერის მხრიდან ქრისტე-სიტყვის რწმუნება-აღიარებისათვის და, მაშასადამე, როდიდანაც, უკვე დაწყებულია და მიმდინარეობს დღემდე, ჩვენი ერის დასჯის პროცესი; მიმდინარეობს დასჯა ქვეყნაში სოციალურ-ეკონომიკური დისპალანსის გაღრმავე-ბისა და ერის რიცხოვნების სულ უფრო შემცირების თვალსაზრისით.

2.6. ზემოთ (პ.პ. 2.1-2.5) ჩამონერილი კონკრეტული ინფორმაცი-ული მასალები ქმნიან მეცნიერული ლოგიკით დასაბუთებად, ბუნებ-რივ, ე.ი. მყარ, საფუძველს იმისი შემეცნება-რწმენებისათვის, რომ ქართველი ერის მიმართ განსაზღვრულია კონკრეტული სოციალური დანიშნულება (ეროვნულ-საკაცობრიო მისია), – ის, რომ ქართველმა ერმა და მაშასადამე, საქართველო-სახელმწიფომ, პირველმა უნდა მიიღოს, გაითავისოს გაიცნობიეროს და, გაავრცელოს დანარჩენ კა-ცობრიობაში, ქრისტე-სიტყვა; – ეს მასალები მყარ საფუძველს ქმნიან

1 მიმართების ცენტრი (მიზიდულობის ცენტრი) – ადგილი, საიდანაც ურთიერთთან მიმართებაში მყოფ ორ სხეულს შორის, მანძილი უმოკლესია.

ეპნომიკური თეორიის თანამედროვე პრიგლებები

იმისი გააზრებისათვისაც, რომ დღეს, ამ სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტა დაგვიანებულია დიდწილად, – რომ იგი საშურია რათა აღნიშნული სასჯელი სასიკედილო არ გახდეს.

2.7. რეალობა (მადლობა ღმერთს) ის, რომ ქართველი კაცის, ბ-ნი აკაკი ჯორჯაძის სულში აღმოჩნდა ის ძალა, რომელიც საწყისში მოეთხოვებოდა სასძლო კაცს; ფაქტია ისიც, რომ ამ რეალობის კვალობაზე, მოხერხდა და დღეისათვის უკვე მოძიებულია დღევანდელი ადამიანის აზროვნების გასწორებისათვის აუცილებელი იდეოლოგიური ბაზა (სოციალური კანონზომიერება – „ლაზარე“); გარდა ამისა, ქვეყანაში ფაქტიურად მომზადებულია და არსებობს (ხელმოწერებით დადასტურებულია) საზოგადოებრივი მოთხოვნილების დომინანტი რომლითაც თვისობრივად, დაფიქსირებულია ქვეყანაში ამ იდეოლოგის სახელმწიფოებრივი რეალიზაციის პოლიტიკური ნება; ყველაფერი ეს (და, არა მხოლოდ ეს). უთუოდ, არის ნიშანი-საფუძველი იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ჯერ კიდევ არსებობს შანსი ზემოთ (სათაურში) დასახელებული სახელმწიფოებრივი ამოცანის დადებითად გადაწყვეტისათვის¹. ცხადია, სხვა საკითხია ის, რომ დღევანდელ საქართველოში მეტად პრობლემური შეიქმნა ამ შანსის გამოყენება;

2.8. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქრისტიანულ-მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი მოსახლეობის დიდი უმრავლესობაა (70-80%), დღეს მაინც ვერ ხერხდება ქვეყანაში ამ სარწმუნოების შენარჩუნების მდგომარეობის წარმოჩნდება და ოფიციალურად (სახელმწიფოებრივად) დაფიქსირება, (რითაც დაფიქსირდებოდა ერის პოლიტიკური ნება ეროვნული იდეოლოგიის არჩევის თვალსაზრისით). თუმცა ზემოხსენებული ხელმომწერთა დომინანტის სახით, ეს მდგომარეობა, თვისებრივად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კიდევაც, დაფიქსირებულია. ოფიციალურად ვერ ხერხდება იგი, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ სახელმძღვანელოდ მიღებული და გატარებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსი ანუ კაპიტალისტური იდეოლოგია, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ქვეყანაში კერძო კაპიტალისტური საკუთრების დაცვა, ამ სიმართლის გამუღავნებას გამორიცხავს; მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (რომლებიც კერძო მესაკუთრეების „ტყვეობაშია“ მოქცეული), ქვეყანაში ეროვნული იდეოლოგიის დაკანონება-დამკვიდრების საქმეს არ მოემსახურება, რამეთუ მესაკუთრეები აღნიშნულ პრიორიტეტს იცავენ (ებლაუჭებიან).

1 იხ. ჩვენი სტატია ჟურნ. „ეკონომიკა“ №1-2, 2012 წ.

ეპონოვაა №5-6, 2012

ანუ: მატერიალიზმი (კაპიტალიზმი), როგორც ერის, კაცობრიობის (ქვეყნის, დედამიწის) თვითგანვითარების იდეოლოგია, ჩვენს პლანეტაზე გასულ 2000-წლეულში ასე რომ დამკვიდრდა, ამ ეტაპზე უპირისპირდება და, ფაქტიურად, გამორიცხავს თვითგანვითარების გახანგრძლივების საქმეს; – გამორიცხავს ზემოხსენებული შანსის გამოყენებას. ე.ი. კაპიტალიზმზე აგებული სახელმწიფოებრივი სისტემა უარყოფს ერის, შესაბამისად, კაცობრიობის თვითგანვითარებას, – უარყოფს დედამიწაზე სოციალურ-ეკონომიკური ბალანსის სტაბილურად დაცვის ასტრო-ფიზიკურ მოთხოვნას. სახელმწიფოებრივი კრიზისი აქ ვლინდება უკვე, როგორც სოციალური კატასტროფის წინაპირობა; ამგვარი კატასტროფის გარდაუვალობა, რომელიც თავისთავად, საზოგადოებრივი მეცნიერების იგნორირების თანმხლები შედეგია, ააშკარავებს საქართველოს წინაშე დღეს მდგარი, სათაურში დასახელებული, ახალი სახელმწიფოებრივი ამოცანის გადაწყვეტის გადაუდებლობას; წინა პლანზე აყენებს ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებლობის გახსნისა და ახალ სიტყვასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი საქმიანობების დროულად ორგანიზების საქმეს.

3. მერწყულის თანავარსკვლავედის დედამიწასთან მიმართების კუთხის სიდიდე (პლანეტების ურთიერთობიზიდულობის ძალა), განსაზღვრულია რა მოცემული ქვეყნის კონტინენტური მდებარეობისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებით, განსაზღვრავს ამ ქვეყანაში სასიცოცხლო ბუნებრივი პირობების თავისებურებას. ეს ნიშნავს იმას, რომ დედამიწაზე სოციალურ-ეკონომიკურად ბალანსირებული თვითგანვითარების საზოგადოებრივი საქმიანობა ამ ქვეყნის მდებარეობისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, ხოლო ამ პირობების შემეცნება-გამოყენება, დაცვა და ორიათასი წლის მანძილზე შენარჩუნება ადგილობრივი მკვიდრი ერის საარსებო მისიაა.

3.1. აღნიშნული მისია, როგორც სახელმწიფოებრივი საქმიანობა, გულისხმობს უპირველესად, ერის (შემოქმედებითად მოაზროვნე სუბიექტი) თვითშემოქმედებას; – ეროვნული სისხლის (გენი), როგორც ეროვნულ-საკაცობრიო-ფასეულობისა და სულიერ-მატერიალური არსის, პრიორიტეტულად განვითარებას და ეკოლოგიურად დაცვას; აქ მოიაზრება ადამიანში ეროვნული სისხლის მემკვიდრეობითი თანმიმდევრულობით დაცვა საზოგადოებრივ-სოციალურ წარმონაქმნებში – ოჯახი, გვარი, ტომი; ანუ, მოითხოვება ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკურად ბალანსირებული, ისეთი სტრატეგიული მნიშვ-

ეპნომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემები

ნეოლიტის მქონე სახელმწიფოებრივი მეურნეობრივი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც თავის თავზე აიღებენ ოჯახის მიმართ ადამიანთა ერთსულოვნების ნარმოება-დაცვას; – ოჯახში და შესაბამისად, საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის დაცვას.

3.2. გენდერული თანასწორობის ანუ მეუღლეების (მამაკაცი, დედაკაცი – ქმარი, ცოლი) თანასწორუფლებიანობის დაცვა ოჯახურ ურთიერთობებში და, მეტადრე შვილებთან მიმართებაში, საზოგადოებრივი მეცნიერების თვალსაზრისით, მოეთხოვება, მეტნილად, ქმარს (მამაკაცი – ძლიერი სქესი); ამგვარი მამაკაცური საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა გაპირობებულია ფართო აზროვნების, წინდახედულებისა და ნებისყოფის გამორჩეული უნარებით, რომლებიც სოციალური ბუნებითაა დამახასიათებელი ძლიერი სქესისათვის, მაგრამ, რომლებიც მან ქვეყანაში ადამიანის აღზრდის საქმიანობის სათანადოდ ორგანიზების პირობებში, თვითონ უნდა გამოიმუშავოს, განივითაროს; მამაკაცის ამგვარი უნარიანობა, განსაზღვრავს მის საზოგადოებრივ უფლებას – იჩენდეს საკუთარი ოჯახის შექმნის თვალსაზრისით, ინიციატივას თავის რჩეულ მომავალ საცოლესთან მიმართებაში; ხოლო ეს უფლება, თავისთვად განსაზღვრავს უკვე, მის მოვალეობას (პასუხისმგებლობა) – დაელიტოს (დაყრდნოს) მისი რჩეულის გადაწყვეტილებას, ამ უკანასკნელთან დაქორწინების საქმეში. ანუ, სოციალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, – მამაკაცია ვალდებული დააზღვიოს და შესაბამისად დაიცვას თავისი დაქორწინების საქმე ყოველგვარი უთანხმოებისაგან და პირობითობისაგან – პასუხი აგოს ოჯახში ცოლქმრული ურთიერთობების შენარჩუნებაზე სიცოცხლის მანძილზე.

3.3. ეროვნული გენის ეკოლოგიურად დაცვა ოთხყარო-რესურსების ბაზაზე მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობებში ამ რესურსებზე ეროვნული საკუთრების უფლების მოძიება-დაუფლებას; ანუ, ოთხი რესურს ჯვეფის სისტემური ათვისება, დაცვა, გამოყენება, განვითარება და, ზოგადად, ოთხყაროს მუდმივად შენარჩუნების სოციალური მოთხოვნა განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში ყველა (დიდი და მცირე) ქვეყანა-სახელმწიფოს თანაბარუფლებიანობის სოციალურ მოთხოვნას.

3.4. ქვეყანაში ადამიანური რესურსის განვითარება გულისხმობს ადგილობრივი ერის მშობლიური ენის, ე.ი. მშობლიური გენის მუდმივად შენარჩუნებას.

ეს საქმიანობა, გულისხმობს რა ადამიანებს (მამაკაცი და ქალი) შორის სიყვარულს, შერეულ ქორწინებასაც მოიცავს და საჭიროებს

შესაბამისი უფლების დაცვის სახელმწიფო ბრივად ორგანიზებას. ამ-გვარი ქორწინება ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ზნეობრივ-მო-რალური პრინციპების მიხედვით, გულისხმობს სისხლით მემკვიდრე შთამომავლების მამის გვარზე გატარების (აღრიცხვა) ტრადიციულ წესს. კანონზომიერება „ლაზარე“, ამ წესს წარმოადგენს რა სოცია-ლური მოთხოვნის იდენტურად, მიანიშნებს მართლზომიერებას (ეკო-ლოგიურად განონასწორებულობა) იმისი, რომ სახელმწიფო ბრივად უნდა იყოს განსაზღვრული და დაცული ოჯახური ცხოვრების ქართუ-ლი ეროვნული წესები; – ისინი რომლებიც შეეხება: ოჯახში მამის გვა-რის, როგორც ეროვნული სტრუქტურული ერთეულის, განსაზღვრას შვილების აღზრდის საქმეში მამისეული ოჯახური გარემოს შექმნისა და დაცვა-შენარჩუნების, შერეული ქორწინების წყვილთა თანაცხოვ-რების ადგილად მამაკაცის მშობლიური ოჯახური გარემოს განსაზღ-ვრის, ამ წყვილის შთამომავლებისათვის, მათი მამისეული სამშობ-ლო-ქვეყანაზე მემკვიდრეობის უფლების დამსახურება-დაცვასთან დაკავშირებულ და სხვ. საქმიანობას; – სახელმწიფო ბრივად იყოს და-ცული სისხლით მემკვიდრეობაზე, თუ მატერიალურ მემკვიდრეობა-ზე ადამიანის ეროვნული უფლების დაუფლება-დამსახურებისა და ამ უფლების მისი შესაბამისი ეროვნული მოვალეობებით დაბალანსების სოციალური მოთხოვნა, რომელსაც „ლაზარე“ განსაზღვრავს.

3.5. ადამიანის ეროვნული უფლება, როგორც ქვეყანაში დაკანონე-ბული სახელმწიფო ბრივი ნორმა, გამორიცხავს ამ ქვეყანაში (ე.ი. ზო-გადად, მსოფლიოში) ადამიანის თვითგანვითარების თვალსაზრისით და, საერთოდაც, საზოგადოების დაყოფას ისეთ ჯგუფებად, როგორი-ცაა მდიდრები და ღარიბები; თუ კი კონკრეტული ადამიანი არის მო-ცემული ერის გენის მატარებელი, მას მხოლოდ თავისი კულტურული განვითარების დონიდან (ეროვნული ღირსება, სულიერი მდგომარეო-ბა) გამომდინარე ძალუძს იყოს ამ ერის კულტურის გამაგრძელებელი. საზოგადოების მდიდრებად და ღარიბებად დაყოფა ის ხელოვნური (არა სოციალური) ქმედებაა, რომელიც, უპირისპირდება რა ქვეყნის მაცხოვრებელი ყოველი ადამიანის თვითგანვითარების ეროვნულ უფლებებს, პირობებს ქმნის ეროვნული გენის უკუგანვითარებისათ-ვის. ამასთან, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები, მეტადრე, სოციალუ-რი კულტურა და შენარჩუნებული თუ განვითარებული საცხოვრებე-ლი პირობები არის მთელი ერის ისტორიული შემოქმედებითი შრომის ნაყოფი და, შესაბამისად, იგი ამ კონკრეტული ერისთვისაა უპირვე-ლესად, ეროვნული ფასეულობა; ადამიანის ეროვნული უფლებების

ეპნომიქური თეორიის თანამედროვე პროგლემები

სახელმწიფოებრივი დაცვა, გულისხმობს რა ქვეყანაში შრომის ორგანიზებას საზოგადოებრივ მეცნიერებაზე დაყრდნობით, უნდა ქმნიდეს პირობებს მთელს მოსახლეობაში, ყოველი ადამიანისათვის უნარის შესაბამისად კვალიფიცირებისა და პირადი შრომის შედეგების მიხედვით თითოეულის სულიერ-მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის; – ქმნიდეს ამგვარ პირობებს, გამომდინარე ქვეყანაში მიღწეულ საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების საშუალო დონიდან.

3.6. აშკარაა ის რეალობა, რომ სიცოცხლის გამანადგურებელი, ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შემოტევები დედამინაზე, ამ ბოლო ნლებში, ცალკეულ ქვეყნებში და, ზოგადად, კაცობრიობასთან მიმართებაში, მეტად შემაშფოთებელია; ნიშანდობლივია, რომ სასიცოცხლო პირობების შენარჩუნების თვალსაზრისით, ამგვარი შემოტევები საქართველოში, ჯერ-ჯერობით, არის, როგორც იტყვიან, მხოლოდ მიზერული. ვერ ვიტყვით იმას, რომ ჩვენთან ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული თუ შემოდგომა ამ ხანებში მეტისმეტად უჩვეულო იყო. მაგრამ, ფაქტია ის, რომ სოციალურ-ეკონომიკური დისბალანსი საქართველოში დღითი-დღე ღრმავდება, – რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხვი პის აღნევსა და სულ უფრო იზრდება. ე.ი. პოლემები აღნიშნული ბალანსისა და ცხოვრების პირობების შექმნა-შენარჩუნების თვალსაზრისით, გაპირობებულია ადამიანური ფაქტორით. აქ კი, სამთავრობო ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, – უფრო გამოკვეთილად, – პოლიტიკური სუბიექტების („პოზიცია-ოპოზიცია“) „დვანტლი“ ლომის წილია. გაპირობებულია ამგვარი „ნალვანი“ იმითი, რომ თავად ამ მოღვაწეთა საქმიანობაა ჩაკრიტიკილი ანტი-ეროვნული, ე.ი. ანტი-საზოგადოებრივი, იგივე, ანტი ადამიანური ან, ასე ვთქვათ, არასაზოგადოებრივ-მეცნიერული იდეოლოგიის ჩარჩოში. ეს „ჩარჩო“, რომელიც პრიორიტეტულად იცავს კერძო (კაპიტალისტურ) საკუთრებას მატერიალურ სიმდიდრეზე (ფულზე, კაპიტალზე), სწორედ ამ საკუთრებისა და ამ პრიორიტეტის შენარჩუნების მიზნით, ნებით თუ უნებლივდ, სწირავს (ანადგურებს) თავად ადამიანს (ერი, კაცობრიობა).

ანუ: ახალი სიტყვიდან გამომდინარე, მხილებულია რა ზემოაღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრიზისების მიზეზი კაპიტალისტური იდეოლოგიის სახით, მეცნიერულად საბუთდება ის მცნება, რომ „შემთხვევით არაფერი ხდება“; ამითივე დამოწმებულია და ახსნილია ის ბიბლიური მინიშნებაც, რომ

ეპოვა №5-6, 2012

„საქართველო ლვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანაა“; – რომ ღმერ-თი-სიტყვა საქართველოში იშვა თურმე, კანონზომიერად და, – რომ ეს ქვეყანა, რომელიც ლაზარეს (ქართული ენა) მფლობელმა ერმა უნდა დაიცვას, სწორედ ღმერთის მიერ (კანონზომიერება – „ლაზარეს“ შე-საბამისად) არის ჯერ-ჯერობით, შეწყნარებული; შეწყნარებულია იგი მხოლოდ თვითგადარჩენის შანსის ჯერ კიდევ შენარჩუნების თვალ-საზრისით. ცხადია, სხვა საკითხია ის, რომ გადაუდებელია ამ შანსის გამოყენებისათვის, ზემოხსენებული, ანტი-ეროვნული იდეოლოგი-ური ჩარჩოს გარღვევა; – რომ ეს გარღვევა, ამ ეტაპზე, უნდა გამოი-ხატოს ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ორგანიზებით იმისა, რომ ოფიციალური (სახელმწიფოებრივი) გადაწყვეტილების ბა-ზაზე, მოხდეს ქრისტე-სიტყვის შემეცნებისა თუ მასთან ზიარების, ან კიდევ, მის რძმუნებასთან დაკავშირებული, ეროვნული საზოგადო-ებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფინანსური და ინ-ფორმაციული უზრუნველყოფა.

3.7. ქვეყანა, თავის მდებარეობითა და ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოთი, არის რა თავისებურებებით გამორჩეული ოთხყარო, ნარ-მოადგენს თვითგანვითარებისათვის აუცილებელი სტრუქტურულ ერთეულს; ანუ, იგი ობიექტურ საფუძველს დედამიწის სოციალურ-ეკონომიკურად ბალანსირებული თვითგანვითარების უწყვეტობის ორგანიზებისათვის; ამგვარი საფუძვლიანობა განაპირობებს იმას, რომ სახელმწიფოებრივი სისტემა უნდა იყოს დედამიწის თვითგანვი-თარების პოლიტიკურ-ეკონომიკური მართვის ფორმა. აქედანვე გა-მომდინარეობს უზენაესი კანონის – „ლაზარეს“ სოციალური მოთხოვ-ნაც, – რომ ქვეყანა უნდა ვითარდებოდეს სახელმწიფოებრივად, ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგის ბაზაზე.

დღევანდელი ქართული სახელმწიფო კი, რომელმაც თავის საში-ნაო თუ საგარეო ურთიერთობებში დათმო ეკონომიკური ფუნქცია და ამ ურთიერთობების მიზანი თითქმის მთლიანად, დაუქვემდებარა უცხოელი თუ ადგილობრივი კერძო მესაკუთრეების ნებას, უარყოფს (იგნორირებულს ხდის), აღარ ასრულებს დედამიწის თვითგანვითარე-ბის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმის სოციალურ დანიშნულებას. შესაბამისად, ეს სისტემა, როგორც ამგვარი შინაარ-სის მატარებელი ფორმა, უნდა აღსდგეს.

4. 2000-წლიანი პერიოდი ამ დროის ქვეყნის სახელმწიფოებრი-ვი აპარატის (ხელისუფლება) საარჩევნო პერიოდებად რეგლამენ-ტირების კვალობაზე ასახავს ადამიანის (სული) საზოგადოებრივი

ეპნომიკური თეორიის თანამედროვე პროგლობი

განვითარების პროცესს. ანუ, ეს დროც და ეს პროცესიც, განსაზღვრულია ასტრო-ფიზიკური უზენაესი კანონის („ლაზარე“) სოციალური მოთხოვნებით რომლებიც ადამიანმა ერისა და მთელი კაცობრიობის დონეზე უნდა დაიცვას; რამე თუ, მის დაცვა-არდაცვაზე, პასუხი ამავე კანონის მიხედვით, ორიათასწლეულს ბოლოს, უკვე მთელს ერს მოეკითხება; ხოლო, ამ კითხვაზე დადებითი პასუხი (დედამიწიდან წასული დადებითი სოციალური ენერგია)¹ ასტრო-ფიზიკური სისტემაში განსაზღვრულ დროში, მყისიერად გადაწყვეტს მოცემულ ქვეყანაში ადგილობრივი მკვიდრი ერის არსებობა-არ არსებობის (თვითგანვითარება) საკითხს. ანუ:

4.1. ქვეყანაში, მოცემულ დროში ჩადენილ ადამიანურ ცოდვაზე, უფრო ზუსტად, პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში საზოგადოებრივი განვითარების კანონის არდაცვაზე პასუხი მოეკითხება (ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის 100 წლის განსაზღვრულობის პირობებში), ამ ქვეყნის მოქალაქე, ყოველი კონკრეტული ადამიანის მოდგმის მე-20 თაობას;

4.2. კეთილგონიერების მიმართ რწმენის (ე.ი. რელიგიური სამსახურების) დანიშნულება ყოფილა (არის) მორჩმუნე ადამიანის მიერ თავისი ცოდვებისაგან, თავისი მოდგმა-შთამომავლების დაზღვევა; უფრო კონკრეტულად:

4.3. აშკარავდება ის რომ უზენაესი კანონის – „ლაზარე“ მიხედვით, რწმენის დანიშნულებაა ქვეყანაში, დედამიწაზე ადამიანის მოდგმის გადარჩენა იმ განკითხვისაგან რომელიც, თავისთავად, ყოველი ორიათასწლეულს დასრულების უამს (განკითხვის უამს) გარდაუვალია.

5. საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის განვითარების 2000-წლიანი პერიოდულობა, გულისხმობს რა სახელისუფლო საარჩევნო დროის რეგლამენტაციის, ასეთივე პერიოდულობით, სახელმწიფო საარჩევნო სისტემის განახლებასაც მოიცავს.

უდავია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების საარჩევნო სისტემაში ფარული კენჭისყრის პრინციპი, თავის დროზე (როცა ქვეყანაში ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოების რწმუნება-არრნ-მუნების საკითხი იდგა), კარგად მოემსახურა მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს შექმნის საქმეს; აქ მორწმუნე და არამორწმუნე ადამიანთა საზოგადოებები უზრუნველყოფილი იყვნენ არჩევანის თავისუფლებით და ერთდროულად, ისინი ურთიერთან წინააღმდეგობისაგან იყვნენ დაზღვეულნი. ამგვარი მიზანი – მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს

1 ამის შესახებ იხ. ჩვენი სტატია, ჟურნ. „ეკონომიკა“ №7-8, 2011, გვ. 32..

ეპოვა №5-6, 2012

შექმნა, რომელიც „ლაზარეს“ მიხედვით, უპირველესი შიდასახელმწიფოებრივი დანიშნულებაა, დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო-ში გატარებული მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის შესაბამისად, იგნორირებულია; დაშვებულია რა ადამიანის რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება და, მეტიც, პროპაგანდირებულია რა თავისუფლება სხვა რელიგიურ აღმსარებლობასთან დამოკიდებულებაში, სახელმწიფოში უკვე წახალისებულია, – მიზანმიმართული ხდება წინააღმდეგობა, ახლა უკვე, ერთის მხრივ, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სარწმუნოების მატარებლებსა და, მეორეს მხრივ სხვა რელიგიური აღმსარებლობას მინდობილს თუ მატარებელ ადამიანებს შორის; ამ კურსის მიხედვით, ეროვნებების ურთირთინტეგრაციის ლოზუნგითა იგნორირებული საზოგადოებრივი მოთხოვნილება ადამიანებს შორის სიყვარულის გრძნობის განვითარების მოტივაციაზე, და, ზოგადად, მათ შორის კეთილგონივრული ურთიერთობების ფორმირებაზე, – ეროვნული სულის განვითარებაზე.

ცხადია, რომ აღნიშნული გარემოება განაპირობებს ქვეყანაში ადამიანებს შორის უნდობლობას, სიყალბეს, ურთიერთის გამორიცხავი ინტერესების დომინირებას ყველა საქმეში და, მეტადრე, ფარული კენჭისყრის შედეგებთან მიმართებაში. ანუ, ფარული კენჭისყრის შედეგებზე დაფუძნებული საარჩევნო სისტემა ამ მოცემულ, ახალ დროში, [როცა დედამინა (ადამიანის ფსიქია) მერწყულის მიზიდულობის ძალას ექვემდებარება], როცა ადამიანის აზროვნება არამატერიალისტურად, უფრო კონკრეტულად, მორალური განწმენდის მიმართულებით უნდა განვითარდეს, გარდაუვალი ხდება ის, რომ ადამიანმა თავისი არჩევანი ზნეობრივსა¹ და უზნეობას შორის ღიად (არაფარულად) გააკეთოს.

5.1. სახელმწიფოებრივი კრიზისი, ცხადია, ძირითადად ფარული კენჭისყრის საარჩევნო სისტემიდან გამომდინარე „იკვებება“; ანუ დღეს სახელმწიფოებრივი კრიზისის არსი ისაა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, თავისი, მთელი, ე.ნ. პოზიციურ-ოპოზიციური სპექტრით, იცავს რა კაპიტალისტურ იდეოლოგიას, უპირისპირდება ქვეწის თვითგანვითარების ეროვნულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას. ეს უკანასკნელი კი, რომელიც ამ ბოლო წლების მანძილზე შემუშავებულია ქრისტე-სიტყვაზე დაყრდნობით და შემოთავაზებულია ქვეყნისათვის, ჯერ-კიდევ, 1999 წლიდან, პ.გ. „მძლეველისა“ და, ამჯერადაც, ამ უკანასკნელის მემკვიდრის, პ.გ. „ახალი სიტყვა“ მიერ და, რომელიც

1 ზნეობრივი – ჩვეულებრივი (სულხან-საბა).

ეპნომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემები

გადმოცემულია მოკლედ, „მომავლის პროგრამაში“ (აკაკი ჯორჯაძე, თბილისი, 2009) მასობრივი მკითხველისათვის მიუწვდომელია (მცირე ტირაჟის გამო); ხოლო ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ეს პროგრამა და, ზოგადად, ახალ სიტყვასთან დაკავშირებული თემა დუმილის საგანია – ტაბუდადებულია¹.

აღნიშნული ფაქტი – ის, რომ ხსენებულ თემას საქართველოში 1995 წლიდან დღემდე, არ შეხებია არც ერთი საინფორმაციო მაუწყებლობა თუ სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია – სახეზეა; იგი, თავისთავად, ინფორმაციის საშუალებების შესაკუთრებების თუ განმკარგულებლების სახელმწიფო ხელისუფლებასთან კორუფციას ნიშნავს და ამხელს „მომავლის პროგრამისა“ თუ ახალი სიტყვის თემის მოსახლეობისათვის დამალვის განზრახვას². ამგვარი, თავისი არსით, პოლიტიკურ სტრატეგიული ზრახვა, რომელსაც ამ კორუფციის მხარეების ერთნაირი – მატერიალისტური – აზროვნება განაპირობებს, მოსახლეობის ცდუნებისა თუ მოტყუების ნიადაგზე ახდენს ქრისტე-სიტყვისა და, მაშასადამე, ადამიანის აზროვნების (მეცნიერება) დაბლოკვას; იგი ქმნის ერის, ქვეყანა-საქართველოსი და აქედან გამომდინარე, თავად, დედამიწის განადგურების საფრთხეს. მატერიალისტური იდეოლოგიის ამგვარი მაგნებლობა, ცხადია არ უნდა გამოეპაროს საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკურ მეცნიერებას (ე.ი. სახელმწიფოს); ანუ სახელმწიფომ ეს იდეოლოგია უნდა უარყოს; მან თავისი საქმიანობა ქვეყანაში უკვე უნდა წარმართოს ადამიანური, იგივე, ეროვნული იდეოლოგიის დაკანონება-დამკვიდრების მიმართულებით.

6. ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის რეალიზაცია, როგორც ახალი დროის საქართველო-სახელმწიფოს ამოცანა, ნიშნავს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების ორიენტირებას ადგილობრივი მკვიდრი ერის (ყოველი ქართველის და, არა მხოლოდ მდიდარი მოქალაქეების) უფლებების დაცვაზე. ეს იდეოლოგია ოთხყაროს მეთოდზე დაყრდნობით, სახელმწიფოებრივი პრიორიტეტის არამატერიალისტური (სულიერი, მორალური) ფასეულობების წარმოება-კვლავწარმოებაზე გადატანის ნიადაგზე, იცავს რა თანაბარზომირებას ერის სტრუქტურული ერთეულების (ოჯახი. გვარი, ტომი) თვით განვითარებაში, ქმნის საფუძველს პარმონიული ერთაშორისი ურთიერთობების, ე.ი. მშვიდობიანი გზით მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შემოქმედება-დამკვიდრებისათვის.

1 ამგვარი ტაბუს შესახებ იხ. უურნ. „ეკონომიკა“, №11-12, 2011 წ. გვ. 23-25.

2 ნიშანდობლივია ბიბლიური მცნება – „იზრახვის როგორც ურჩხული“.